უბედური შემთხვევის

დაზღვევის ხელშეკრულება PAG 3641/18

17.08.2018

ქ.ფოთი

ერთის მხრივ სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" (ს/ნ 204426674), წარმოდგენილი მისი გენერალური და ფინანსური დირექტორის მინდობილი პირის – ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე განვითარების დირექტორის ბ-ნ ბესიკ ფესტვენიძის სახით, (შემდგომში "მზღვეველი"), მეორეს მხრივ, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ქ-ნ ნინო ბაკურაძის (პირ.ნ 42001014347) სახით (შემდგომში "დამზღვევი"), „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N: 13 ბრძანების" გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 ,უხლის „ა" პუნქტის შესაბამისად ვდებთ ამ ხელშეკრულებას მზღვეველის მიერ დამტკიცებული დაზღვევის საერთო წესების შესაბამისად და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს "მზღვეველის" ვალდებულებას გაუწიოს სადაზღვევო მომსახურება, დაკავშირებული "დაზღვეულის" უბედური შემთხვევის დაზღვევასთან, დამზღვევის მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტებს - "დაზღვეულებს", სადაზღვევო შესატანის (შემდგომში: პრემია) გადახდის სანაცვლოდ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით.

2. კლასიფიკატორის (CVP) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები კლასიფიკატორის (CVP) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 66510000 - სადაზღვევო მომსახურებები.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება-პრემია- შეადგენს 435.60 ლარს.

2. დაზღვევის პირობები

1.უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი ნაწილობრივი ან სრული შრომისუუნარობა და გარდაცვალების ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს:

- დაზღვეულის მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობის შემთხვევაში – სადაზღვევო თანხის გარკვეულ პროცენტულ წილს (45%-70%), ტრავმის სიმძიმის მიხედვით;
- დაზღვეულის მუდმივი სრული შრომისუუნარობისა და გარდაცვალების შემთხვევაში – სადაზღვევო თანხის 100%-ს.

2. უბედური შემთხვევით გამოწვეული სტაციონარში განთავსების დღიური ანაზღაურება შეადგენს:

- სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობა გამრავლებული დღეში ასანაზღაურებელ თანხაზე, ერთ დაზღვეულზე 1'500 ლარის ფარგლებში. (ანაზღაურდება ჩვეულებრივ პალატაში ყოფნისას დღეში 250.00, რეანიმაციაში - 600.00).

3. ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება "მზღვეველის" მიერ გაცემულ სადაზღვევო მოწმობაში (`სადაზღვევო პოლისში"), რომელიც "მზღვეველის" მიერ დამტკიცებულ იქნება "სადაზღვევო წესებთან" (შემდგომში: დანართი N1) და წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად არეგულურებს დაზღვეულთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთიერთობას. ამასთანავე სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც "დამზღვევს" ,,დაზღვეულს" მისი მიღების შემდგომ აძლევს უფლებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება.

4. მხარეთა მიერ სადაზღვევო პოლისის მეშვეობით განისაზღვრება დაზღვევის საგანი, დაზღვეული პირის ვინაობა, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა, სადაზღვევო თანხის ოდენობა და სადაზღვევო შესატანის ოდენობა (მისი გადახდის პირობების ჩათვლით).

5. დაზღვევა იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული პირველი დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე და მთავრდება პოლისში მითითებული ბოლო დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე.

6. დაზღვევის ხელშეკრულება შედგება განაცხადის, მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე პირობებისგან.

7. დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, პროფესია/საქმიანობასთან ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების შემთხვევაში სადაზღვევო პოლისი ჩაითვლება ბათილად და მზღვეველს უფლება აქვს უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე.

3. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. დაზღვევის გაფორმებისას "დამზღვევი" ვალდებულია აცნობოს "მზღვეველს" ყველა მისთვის ცნობილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის, მათ შორის "დაზღვეულის" ჯანმრთელობასთან და/ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. აგრეთვე ინფორმაცია ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა "მზღვეველის" გადაწყვეტილებაზე უარი თქვას წინამდებარე დაზღვევაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით

2. დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულის ავადმყოფობის, ფიზიკური დეფექტის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების შესახებ და/ან ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელიც მოხდა განაცხადის შევსების ან მსგავსი ცვლილებების შესახებ წინა შეტყობინების შემდეგ. შესაბამისი ცვლილებების თანახმად მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ან გაზარდოს სადაზღვევო პრემია ან მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

3."დამზღვევმა" "მზღვეველს" დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა, წერილობით უნდა აცნობოს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდგომ.

4. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი და პირობები

1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურებისათვის პრემიის ჯამური ოდენობა 484 (ოთხას ოთხმოცდაოთხი) ლარი, განსაზღვრულია 27 (ოცდაშვიდი) პროფესიულ სტუდენტზე.

2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება -ერთჯერადად:

25.08.2018– 435.60 ლარი

3. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.

4. პრემიის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ყველა დაზღვეულზე სრულად.

5.მხარეთა ვალდებულებები

1."მზღვეველი" ვალდებულია:

1.1.აანაზღაუროს ზიანი წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართი #1-თ გათვალისწინებული წესით დაზღვევის წესების შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და "მზღვეველის" მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდგომ.

1.2.უზრუნველყოს "დამზღვევისათვის" ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა (დანართი #1 და სადაზღვევო პოლისი), რომლებიც საჭიროა დაზღვევის გაფორმებისათვის;

1.3.სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შეასრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად;

1.4."დაზღვეულის" სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოს იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია.

2."დამზღვევი" ვალდებულია:

2.1.ხელშეკრულების დადებისას კეთილსინდისიერად შეასრულოს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

2.2.დროულად და სრულად გადაიხადოს პრემია ხელშეკრულებაში დადგენილი წესების დაცვით;

2.3.ხელი შეუწყოს "მზღვეველის" მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას;

2.4.მოიპოვოს და გადასცეს "მზღვეველს" დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია რეგრესის უფლების განსახორციელებლად;

2.5.ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა ის გარემოება, რომლებსაც, არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით.

2.6.არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა, წერილობით უნდა აცნობოს მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდგომ ასევე წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულის ნებისმიერი ავადმყოფობის, ფიზიკური დეფექტის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების შესახებ და/ან ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელიც მოხდა განაცხადის შევსების ან მსგავსი ცვლილებების შესახებ წინა შეტყობინების შემდეგ. შესაბამისი ცვლილებების თანახმად მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ გაზარდოს სადაზღვევო პრემია ან მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება

2.7.სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს.

2.8.სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეასრულოს ყველა მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დადგენას.

2.9.დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულებს/მოსარგებლეებს; მათ შორის ვალდებულებები, რომ დაზღვეულებმა/მოსარგებლეებმა შეატყობინონ მზღვეველს პოლისში მითითებულ ნომერზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინება შეუძლებელია); ასევე დაზღვეულების/მოსარგებლეების ვალდებულია მზღვეველს მიანიჭოს უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი.

2.10.მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა რომლის საფუძველზეც, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე

2.11.დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით და მისი დანარტებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები.

2.12.გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვეველთან შეთანხმებული წესის მიხედვით ყველა დაზღვეულზე სრულად.

2.13.საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს დაზღვეულის შესახებ დოკუმენტაცია.

2.14.ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას;

2.15.დაზღვეულ პირთა შემცირების შემთხვევაში დაუბრუნოს მზღვეველს გაუქმებული სადაზღვევო პოლისების ორიგინალები და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაზღვევასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

6.განცხადება და გარანტია

1."დამზღვევი" აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ეს ხელშეკრულება "დაზღვეულთა" სასარგებლოდ.

2."დამზღვევი" ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულება და "მზღვეველის" მიერ მისთვის გადაცემული დანართი #1 არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. "დამზღვევი" ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ დანართს #1 გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

3."მზღვეველის" მიერ მისთვის გადაცემული სადაზღვევო წესები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. "დამზღვევი" ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ სადაზღვევო წესებს გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

7.ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა, შეწყვეტისა და მოშლის პირობები

1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

2.ხელმოწერის დღედ ითვლება ხელშეკრულების მარჯვენა ზედა კუთხეში მითითებული თარიღი.

3.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაა 01.12.2018 - 31.05.2019 ჩათვლით პერიოდი.

4.პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე "მზღვეველი" თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.

5.დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მზღვეველი გასცემს პოლისის ასლს. ამის შემდეგ დაკარგული პოლისი უვარგისად ჩაითვლება, ხოლო ასლის გაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს დამზღვევი.

6.წინამდებარე ხელშკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ამავე ხელშკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობებითა და წესით.

7.დაზღვევის ხელშეკრულება ამოწურულად ჩაითვლება:

7.1.სადაზღვევო პერიოდის დამთავრებისთანავე;

7.2.მზღვევლის მიერ მისი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე (სადაზღვევო თანხის ამოწურვისთანავე);

7.3."დაზღვეულის" მოთხოვნის შემთხვევაში, კონკრეტულად ამ პირის მიმართ, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო "დამზღვევის" მიერ "დაზღვეულის" შეუტყობინებლად; ასეთ შემთხვევაში მიყენებული დამდგარი ზიანის ანაზღაურება ეკისრება "დამზღვევს";

7.4."დაზღვეულის" გარდაცვალების შემთხვევაში, თუკი ასეთი შემთხვევა არ განეკუთვნება სადაზღვევო შემთხვევას და თუ არ მოხდება მისი სხვა პირით ჩანაცვლება (დაზღვევის ინტერესის დაკარგვა);

7.5.დაზღვეულის გარდაცვალებისთანავე (ინდივიდუალური დაზღვევის შემთხვევაში);

7.6.დამზღვევის/დაზღვეულის მიერ სადაზღვევო პირობების დარღვევის შემთხვევაში ;

8.“მზღვეველი” უფლებამოსილია ვადამდე მოშალოს სადაზღვევო ურთიერთობა შემდეგ შემთხვევაში:

8.1.თუ დაირღვა პრემიის გადახდის ვალდებულება (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), “მზღვეველი” თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისგან. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ “დამზღვევის” მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დადგომის მომენტიდან პრემიის გადახდის მომენტამდე არსებულ პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

8.2.თუ დაირღვა არსებითი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, “მზღვეველს” არ მიეწოდა ინფორმაცია და/ან ინფორმაცია შეიცავდა არასწორ მონაცემებს, მაშინ “მზღვეველი” თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი ყოველგვარი მოვალეობის შესრულებისაგან.

8.3.“მზღვეველი” თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომაც, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გავლენა იქონია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და “მზღვეველის” მოვალეობის შესრულებაზე.

8.4.მხარეებს უნდა ეცნობოთ ხელშეკრულების მოშლის შესახებ წერილობით.

8.მხარეთა პასუხისმგებლობა

1.მხარე, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, აანაზღაურებს ამით გამოწვეულ ზიანს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და დანართი 1-ს 11-ე თავში ”ქმედება უბედური შემთხვევის დროს” განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 1 (ერთი) თვის ვადაში აუნაზღაურებს მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას.

9.სადავო საკითხების გადაწყვეტა

1.მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.

2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

3.გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ”მზღვეველის” ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

10.დამატებითი პირობები

1.ყველა ცნობის მიწოდება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, ხდება წერილობითი ფორმით ან კავშირის ისეთი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გადაცემული ცნობის დოკუმენტალური სახით ფიქსირების ან მიმღები მხარის მიერ მისი მიღების დადასტურების საშუალებას.

2.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით.

3.მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

4.ყველაფერ დანარჩენში, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

5.კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

6.ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, რომელიც შეიცავს დანართს და განაცხადებს.

7.მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს იურიდიული მისამართის/რეკვიზიტების ცვლილების შესახებ ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა;

8.ამ ხელშეკრულებასა და დანართებსა ან ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებას შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების ტექსტს.

11.მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

"მზღვეველი"

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 67

გენერალური და ფინანსური დირექტორის

მინდობილი პირი-ჯანმრთელობისა და

სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე განვითარების

დირექტორი:

_____/ბესიკ ფესტვენიძე/

"დამზღვევი"

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"

დირექტორი: ნინო ბაკურაძე

_____/ნინო ბაკურაძე/